ა(ა)იპ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის
ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი
MERAB BERZENISHVILI MODERN FINE ART CENTER
OF OZURGETI – MUNICIPALITY

6 აგვისტო 2020 წ

საქართველო, ოზურგეთი
რუსთაველის ქ.№6. ტელ.(0496) 274542
ელ.ფოსტა: suratebisgalerea@gmail.com

№ 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
მერს კონსტანტინე შარაშენიძეს

ა(ა)იპ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის მიზნები და ამოცანებია, სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, არსებული მხატვრულ-შემოქმედებითი ტენდენციებისა და ზოგადად, კულტურული ფასეულობების მოძიება, გამოვლენა, დაცვა და შესწავლა. ამ მიზნით, ცენტრის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგამოფენო საქმიანობა, შეძენა-ფონდირება, ფართო საზოგადოებაში მნახველთა რაოდენობის გაზრდა.

- ცენტრი ქმნის სახვით ხელოვნებაში მოღვაწე ადამიანებისათვის შემოქმედებითი და საკომუნიკაციო გარემოს.
- კულტურული ცენტრის პოპულარიზაციისათვის, იგი ხელს უწყობს შემოქმედებითი კავშირ-ურთიერთობების დამყარებას და გაღრმავებას სახვით ხელოვნებაში მოღვაწე ადამიანებთან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.
- ახალგაზრდა დამწყები ხელოვანი ადამიანების პროფესიული ზრდისათვის ჩამოაყალიბა თავისუფალი, შემოქმედებითი ბაზა და უზრუნველყოფს მათ მატერიალურად და ტექნიკურად.
- საფონდო კოლექციის მუდმივი ექსპონირება.

აქედან გამომდინარე სახვითი ხელოვნების ცენტრმა შეიმუშავა და განახორციელა შემდეგი პროექტები:

- პროექტი: მოსწავლეთა ნამუშევრების სამხარეო გამოფენა-კონკურსი ,,ზამთრის ვერნისაჟი". პროექტი ხელს უწყობს რეგიონში არსებული სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების წამოჩენას, თვითრეალიზაციას და პოპულარიზაციას. სპეციალური ჟიურის მიერ 14 საუკეთესო ბავშვის გამოვლევლინდება და ისინი ჯილდოვდებიან პრიზებით.
- პროექტი: გურული ამაგდარი მხატვრების საიუბილეო სახელობითი ოქროს პლიტრის გახსნა (პერსონალური გამოფენა, კატალოგის გამოცემა) . 70 წელს ზემოთ მოღვაწე მხატვრების დაფასება, მათი შემოქმედებითი გზის ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა.
- ცენტრთან არსებული შემოქმედებითი სახელოსნო gurian ART წევრების მხარდაჭერის პროექტი. შემოქმედებითად მოღვაწე წევრების ხელშეწყობა და პროფესიული გარემოს შეთავაზება.

- პროექტი : ,,შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში“ - მოწვეულ მხატვერთა მონაწილეობით. დაზგური გრაფიკის - ხელით ბეჭდვის ტექნიკის აღორძინება, პროექტის მეშვეობით უცხოელ სპეციალისტებთან თანამშრომლობა და კავშირები, საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მიძღება.
- პერსონალური და ჯგუფური გამოფენები. შედეგად ხელოვანი ახდენს ფართო საზოგადოების წინაშე წარდგომას, ხდება მისი შემოქმედებითი თვითრეალიზაციადა ჟანრობრივი სტილის დამკვიდრება.
- ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვართა ხელშეწყობის პროექტი. ცენტრი ყოველ წელს ცდილობს დაინახოს და გამოარჩიოს პერსპექტიული შემოქმედებითი ნიჭის და უნარით დაჯილდოებული ახალგაზრდები, გამოავლინოს და ფართო საზოგადოებისთვის წარმოჩინოს - შემოქმედებითი გზის ასპარეზზე .

2019 წელს ა(ა)იპ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენრტმა პირველი 12 თვის მანძილზე ჩაატარა 10 გამოფენა-ღონისძიება:

1. 28 თებერვალი -- **გურიის მხარის მოსწავლეთა ნამუშევრების VIII გამოფენა-კონკურსი ,,ზამთრის ვერნისაჟი“.** გამოფენაში მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის სამხატვრო სკოლებმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 400-ზე მეტმა მოსწავლემ 800-მდე ნამუშევრით. სპეციალურმა ჯიურიმ გამოავლინა 13 გამარჯვებული მონაწილე და ისინი დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრებით. გამოფენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, დაესწრო ბევრი მოწვეული სტუმარი, ბავშვები, მშობლები,მასწავლებლები . ცენტრმა წერილები დააგზავნა სხვადასხვა ორგანიზაციებში, ამ წერილების შედეგად სპონსორების მიერ შერჩეული და დაჯილდოებული იქნა კიდევ 23 მონაწილე.
2. 2 მაისი --- გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირში მოღვაწე ხელოვანების რიგით ,,VIII **საგაზაფხულო გამოფენა**“. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 46 მხატვარმა (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) 150-მდე ნამუშევრით. გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ მონაწილე მხატვრები, საქართველოს მხატვართა კავშირის თავჯდომარე, აჭარის მხატვართა კავშირის თავჯდომარე და სტუმრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

   მონაწილე მხატვართა ნაწილს გადაეცათ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრობის დამადასტურებელი მანდატები.

3. 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა - ,, დინასტია“.

   ცნობილი ქართველი მხატვრების ბეჟან შველიძის, ლია შველიძის , მურთაზ შველიძის, მამუკა ცეცხლაძის და ლუკა ცეცხლაძის მონაწილეობით. გამოფენის გახსნას დაესწრნენ მონაწილე მხატვრები, სტუმრები თბილისიდან, მხარის გუბერნატორი, ოზურგეთის მერი და მათი სტუმრები.

   გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 32 ნამუშევარი.

4. 9 ივლისი -- შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში - 2019.
უკვე მეოთხე წელია მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი, შემოქმედებითი სახელოსნოს ,, gurian ART" ბაზაზე ანხორციელებს პროექტს ,,შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში". პროექტმა საერთაშორისო ხასიათი. მიიღო, მონაწილეობა მიიღეს მხატვარმა აზერბაიჯანიდან, ლიეტვიდან, რუსეთიდან. ათი დღის განმავლობაში მოწვეული და ადგილობრივი მხატვრები ქმნიან ნამუშევრებს ბეჭდურ გრაფიკაში. გარკვეული ნამუშევრები რჩება ცენტრის ფონდში. გამოიცემა ლიფლეტი. 2019 წელს პროექტში მონაწილე მხატვრები: ვახტანგ მეგრელიშვილი (თბილისი), უგნე ჟილიტე (ლიეტვა), ნერინგა ჟუკაისკაიტე (ლიეტვა), კურა ბროდსკაია (ქ. მოსკოვი), თამაზ დარჩია (ოზურგეთი), გია გვიჩი (ქ. ფოთი), ავთანდილ თავართქილაძე (ოზურგეთი)

5. 8 აგვისტო -- ქუთაისელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (არაგეგმიური)
მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრმა უმასპინძლა ქუთაისელ მხატვრებს. მოეწყო გამოფენა, სადაც მონაწილეობა მიიღო 12 მხატვარმა 42 ნამუშევრით . გამოფენის გახსნას დაესწრნენ მონაწილე მხატვრები და მოწვეული სტუმრები.

6. 12 აგვისტო -- შემოქმედებითი სახელოსნოს ,, gurian ART" წევრთა ნამუშევრების გამოფენა ქ. ბათუმში (გასვლითი გამოფენა).

7. 24 სექტემბერი - - მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში, პროექტი სახელწოდებით ,,ამაგდარი მხატვრები" უკვე მეექვსე წელია წარმატებით ხორციელდება. 24 სექტემბერს (გარდაცვალების შემდეგ) მოეწყო მხატვარ გურამ ღლონტის შემოქმედებითი მოღვაწეობის- 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა და გაიხსნა მისი სახელობითი ,,ოქროს პალიტრა". გამოიცა მხატვრის კატალოგი.

8. 24 ოქტომბერი -- გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის IX საშემოდგომო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 52 მხატვრებმა (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) 150-ნამუშევრით. საქართველოს მხატვართა კავშირმა გამოსცა გურიის რეგიონის მხატვართა კატალოგი და დაურიგდა მხატვრებს.

9. 14 დეკემბერი -- მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის 30 წლის იუბილე. გაიმართა ცენტრის შემოქმედებითი სახლოსნოს Gurian-ART წევრთა ნამუშევრების გამოფენა. ღონისძიებას დაესწრნენ როგორც ადგილობრივი ასევე მოწვეული სტუმრები თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან. გამოიცა კატალოგი ,,ცენტრი 30 წლისაა"

10. 27 დეკემბერი -- ახალგაზრდა ოზურგეთელი მხატვრის გიორგი კონტრიძის პერსონალური გამოფენა. ეს არის ცენტრის შემოქმედებითი სტუდია-სახელოსნო ,,Gurian-ART'' - ის მიერ განხორციელებული რიგით მეორე პროექტი, სახელწოდებით ,,პირველი ნაბიჯი" . პროექტის ფარგლებში გიორგი კონტრიძემ შექმნა ჟანრობრივად მრავალფეროვანი ნამუშევრები . გამოფენაზე წარმოდგენილია22 ნამუშევარი. გამოიცა მხატვრის კატალოგი.

ცენტრის დირექტორი: /ა. თავართქილაძე/